სახელმწიფო აუდიტის სამსახური

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანების (იხ. www.monitoring.sao.ge) შესაბამისად

საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია:

- გახსნას საარჩევნო კამპანიის ფონდი **რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში**
- დაუყოვნებლივ წარმოადგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინფორმაცია საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების, ფონდის მმართველისა და ბუღალტერის შესახებ
- **დამოუკიდებელი კანდიდატის შემთხვევაში სუბიექტი ვალდებულია ან დააფუძნოს არასამეწარმეო იურიდიულ პირი ან კანდიდატის სახელზე გახსნას ახალი საბანკო ანგარიში**

სამკვირიანი და საარჩევნო პერიოდის დეკლარაციის წარმოდგენის გრაფიკი:

- მიმდინარე წლის 22 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით ინფორმაცია - 14 სექტემბერს;
- 12 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია - 5 ოქტომბერს;
- 3 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია - 25 ოქტომბერს;
- 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია - წარმოდგენილი უნდა იქნას 8 ნოემბრამდე *(იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა)*
- 22 აგვისტოდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდის ინფორმაცია - არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 1 თვეში *(არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა)*

დეკლარაციები წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობით მითითებული ოფისის მისამართზე და ელექტრონული ფორმით (Excel) - ელექტრონული ფოსტის მისამართზე – info-cpu@sao.ge

ანგარიშგების ფორმები განთავსებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.monitoring.sao.ge დეკლარაციების განყოფილება - დეკლარაციის ფორმები:

- დამოუკიდებელი კანდიდატის საფინანსო დეკლარაციის ფორმები
- **პოლიტიკური გაერთიანებებისათვის** - საარჩევნო პერიოდის ფინანსური დეკლარაციის ფორმები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე წარედგინება ინფორმაცია შემდეგი პერიოდულობით:

- შემოწირულებები/საწევრო შენატანები - **5 სამუშაო დღის ვადაში**
- ნაღდი ფულით ოპერაცია საარჩევნო პერიოდში - **3-კვირიან დეკლარაციასთან ერთად**
- პოლიტიკური რეკლამა საარჩევნო პერიოდში - **3-კვირიან დეკლარაციასთან ერთად**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

მონიტორინგის სამსახური (995 32) 243-81-54; (ცხელი ხაზი **243-81-53**)

ელ.ფოსტა: cpu@sao.ge; info_cpu@sao.ge

ოფისის მისამართი: ქ. თბილისი 0144, ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ.: (99532) 243-84-38